ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 ოქტომბერი პარასკევი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 239 (14235)

შეასრულეს ათი თვის გეგმა

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ღირსეულად შეეგებოდეთ ლენინური კომკავშირის 50-ე წლისთავს. ამ დევიზით შრომობს ენგურჰესის ძალოვანი კვანძის მეოთხე უბნის გივი ნადირაძის გვირაბგამყვანთა ბრიგადა.

ბრიგადამ უკვე შეასრულა 10 თვის გეგმა, ნაცვლად 550 გრძივი მეტრი დიდი კვეთის გვირაბისა, გაიყვანა 570 გრძივი მეტრი.

თავი ისახელეს გივი ნადირაძის ძმებმა ალიოშა და შოთა ნადირაძეებმა, გ. ქანთარიამ, ი. ჭანკვეტაძემ, დ. ღვინჯილიამ, ვ. გუგავამ, ი. თავაძემ და სხვებმა.

ვადაზე ადრე

გეგეჭკორის საკონსერვო ქარხნის კოლექტივი, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული, ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა გორელ მეკონსერვეთა ინიციატივას და გადიდებული ვალდებულებები იკისრა. ამ ვალდებულების ერთ-ერთი ნუხლი ამ დღეებში წარმატებით გაანაღდეს გეგეჭკორელმა მეკონსერვეებმა. ქარხნის დირექტორმა ჯანაშიამ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა, რომ სამი თვით ადრე გადაჭარბებით შესრულდა კონსერვების გამოშვების ხუთწლიდის მესამე წლის დავალება. უკვე გამოშვებულია 2 მილიონ 10 კუთსი პირობითი ქილა კონსერვი, წლიური გეგმა კი 2 მილიონ პირობითი ქილას ითვალისწინებდა. ქარხნის კოლექტივის ვალდებულებაა წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვას მილიონი პირობითი ქილა კონსერვი.

ხუთწლიდი — ვადაზე!

სკოლიებტული გამარმარილება

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სალიეთის წითელი მარმარილოს მაღაროს კოლექტივი მეორე კვარტალის მაჩვენებლებით გამარჯვებული გამოვიდა საქართველოს სსრ საშუ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და მეორე ადგილი და ფულადი პრემია მოიპოვა. ამ ჯილდოს მარმარილოს მომპოვებლებმა თავდადებული შრომით უპასუხეს. მათ ვადაზე ადრე შეასრულეს ცხრა თვის დავალება, დაგროვეს ათასობით მანეთი და ოქტომბრის ინგარიშში ათასობით მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

MEXICO 68

ხვალ მეხიკოში საზეიმოდ გაიხსნება XIX ოლიმპიური თამაშები

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებს მექსიკის საორგანიზაციო კომიტეტს მე-19 ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეებს

გულითადად მივესალმები XIX საზაფხულო ოლიმპიური ასპარეზობის ორგანიზატორებსა და ყველა მონაწილეს — ხუთი კონტინენტის თვალსაჩინო სპორტსმენებს.

სსრ კავშირის მთავრობას, მთელ საბჭოთა ხალხს მიაჩნიათ, რომ XIX ოლიმპიური ასპარეზობა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი პლანეტის ახალგაზრდა თაობის ცხოვრებაში. სპორტსმენთა მსოფლიო ფორუმი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის მეგობრობის, თანამშრომლობისა და შეკავშირების განმტკიცებას მშვიდობისათვის, პროგრესისა და დემოკრატიისათვის.

ამისათვის ძალღონეს ნუ დაიშურებთ, ძვირფასო მეგობრებო, რადგან მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება სპორტი გახდეს თვითეული ახალგაზრდის კეთილდღეება, ხოლო თქვენი ძალღონე, ენერგია და ნიჭი ფართო ასპარეზს მიიღებს შემოქმედებისათვის. ჩვენ ისეთ დროს ვცხოვრობთ, როცა ხალხთა თავისუფლება და ბედნიერება მოითხოვს ყველა პატიოსანი ადამიანისაგან მეტი პასუხისმგებლობით მოკიდებულ მსოფლიოს ბედს, კიდევ უფრო დაარაზმონ და შეკავშირდნენ რეაქციის, ომების, სიღატაკისა და ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ოლიმპიური ასპარეზობის დევიზი — „უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერად!“ — ნათლად გამოხატავს კაცობრიობის ზუსტად მისწრაფებას პროგრესისადმი. უსაზღვროა ადამიანის სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობანი. ამას მოწმობენ მეცნიერებისა და ტექნიკის კოლოსალური მიღწევანი, ამას ცხადყოფენ ახალი შესანიშნავი სპორტული რეკორდები.

საბჭოთა მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურის განვითარებას და ყოველნაირად უწყობს ხელს საბჭოთა ადამიანებს, და განსაკუთრებით ახალგაზრდობას, დაკმაყოფილონ თავიანთი მისწრაფება სპორტისადმი. ჩვენი მიზანია ყოველი ღონე ვიხმაროთ ადამიანის პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისათვის.

დიდად ვაფასებთ საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობას, რომლის მეცადინეობით სტუმართმოყვარე მექიკოში შეიქმნა პირობები ოლიმპიური შეჯიბრების მოსაწყობად, და ჯეროვნად ვაფასებთ მექსიკის წვლილს მსოფლიო სპორტული მოძრაობის განვითარებაში.

დე ოლიმპიურმა ასპარეზობამ ხელი შეუწყოს ხალხთა ურთიერთგაგების, მეგობრობისა და მშვიდობის შემდგომ განმტკიცებას.

ვუსურვებ თვითეულ ოლიმპიელს განიცადოს ახალი რეკორდებისა და პირადი სპორტული მიღწევების სიხარული.

ა. კოსიგინი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

მეგობრული შეხვედრა

ჰელსინკი, 9 ოქტომბერი. (საკდისი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ალექ. ნ. კოსიგინი, რომელიც არაოფიციალური ვიზიტით არის ფინეთში, დღეს შეხვდა ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამდივნოს წევრებს.

გაიმართა საუბარი, რომელიც მეგობრულ და ამხანაგურ გითარებაში ჩაიარა. საუბრის დროს განიხილეს ორივე პარტიისათვის საინტერესო საკითხები საერთაშორისო მდგომარეობისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისა.

9 ოქტომბერს მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც პრეზიდენტ ურხო კეკონენის მიწვევით არაოფიციალურ ვიზიტით იყო ფინეთში.

ა. ნ. კოსიგინმა ეწვია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დელეგაციას

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა 10 ოქტომბერს კრემლში მიიღო სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტით მყოფი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მარშალი ჩესლავ ვიცეხი. დელეგაცია საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

ა. ნ. კოსიგინსა და პოლონელ ამხანაგებს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულითად, მეგობრულ გითარებაში ჩაიარა. (საკდისი).

ბოსტნეულის სიუხვეა გარდაბანში

ბოსტნეულის სიუხვეა გარდაბანში. წელს რაიონის მშრომელებმა მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს, — განაცხადა საუბარში საქართველოს კპ გარდაბნის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ალ. ბეძაურმა, — რომ რესპუბლიკის მშრომელებისათვის უხვად მიეცათ მაღალხარისხოვანი ბოსტნეული. ყველგან — საბჭოთა მეურნეობების ველ-მინდვრებში, სოფლტექნიკაში სოციალისტური შეჯიბრების ახალი, მძლავრი ტალღა აზვიოდა. თვითეული საბჭოთა მეურნეობის მუშამ, მექანიზატორმა ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის შემოქმედებითი შრომა გააჩაღა. პარტიის რაიონული კომიტეტი რაისაბჭოს აღმასკომის სპეციალისტები საქმის ცოდნით ჩასწვდნენ სოფლის მეურნეობის ყველა კუთხე-კუნჭულს, პროდუქტის სიუხვისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის ახალი, მძლავრი რეზერვების გამონახეს და ამოქმედეს.

ყოველივე ამან და აგროტექნიკის მთელი კომპლექსით განხორციელებამ სასურველი შედეგი გამოიღო. რაიონში ბოსტნეულის კულტურების ოდენაღი მოსავალი მიიღეს. მოსავლის აღება ჯერ კიდევ მიმდინარეობს, გარდაბნელებმა კი სახელმწიფოს უკვე მიაყიდეს 26.705 ტონა ბოსტნეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 26.695 ტონისა.

ბოსტნეული კულტურებ ი ს მოსავლისათვის ლაშქრობაში დაწინაურდა გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი მ. ბასანოვი, პარტორგანიზაციის მდივანი ა. შალაბაშოვი). შრომა აქ კარგად არის ორგანიზებული. იყენებენ ყველა რეზერვს. ამ საქმეს სათავეში უდგას პარტიული ორგანიზაცია. ეს საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს საშუალებას აძლევს სიმაღლეზე მიაღწიოს 1.189 ტონა ბოსტნეული. პირველობისათვის იბრძვიან ახალი სამყოროს (დირექტორი შ. სიბაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ნ. მარსაბეშვილი), ალვანის (დირექტორი ბ. აბუაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი მ. ბიჩინაშვილი), რუისბოლოს (დირექტორი ბ. ისპასოვი, პარტორგანიზაციის მდივანი შ. ახალაია) ... ბოსტნეულის ... ბოსტნეულის ... ბოსტნეულის

ასე ემზადებიან ფოთში

ფოთი. (საკ. კორ.). ლენინური კომკავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით ფოთში დიდი მზადებაა. მოეწყო ახალგაზრდა ინტელიგენციის საქალაქო შეკრება, მრეწველობაში და ახალშენებლობებზე მომუშავე ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს **წლიური გეგმა ერთი თვით ადრე, ხოლო ათი თვის გეგმა 25 ოქტომბრისთვის შეასრულონ.**

კომკავშირის საქალაქო კომიტეტთან არსებობს კომკავშირული მოძრაობის ვეტერანთა საბჭო, რომელიც ბევრ კარგ ღონისძიებას ახორციელებს ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის; ავროგებს მასალებს ძველ კომკავშირელებზე, რომლებმაც თავი ისახელეს ოქტომბრის მონაპოვართა დაცვა-განმტკიცებაში, შრომასა და ბრძოლაში. ხშირად ეწყობა შეხვედრები ვეტერან კომკავშირელებთან. საწარმო-დაწესებულებებში, ახალშენებლობებზე იკითხება ლექციები, მოხსენებები თემებზე „კომკავშირის სახელოვანი გმირული გზა“, „კომკავშირი სამშენებლო ომის ფრონტზე“, „ასე შეიქმნა კომკავშირი“, „კომკავშირი დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე“, „კომკავშირი კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში“...

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, პარტიის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო გამოფენები, რომლებიც ასახავს კომკავშირის სახელოვან 50 წლისთავს.

ყოფილები — ვეტერანები კომკავშირელების საფლავზე

აბაშა. (საკ. კორ.). კომკავშირის აბაშის რაიონულმა კომიტეტმა გამართა თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისათვის მზადებას. თემებზე: „მშრომელი ახალგაზრდობის ცხოვრება და ბრძოლა მეფის რუსეთში“, „კომკავშირელები — სამოქალაქო ომის გმირები“, „ლენინური კომკავშირი — პარტიის ერთგული თანაშემწე სოციალიზმისათვის ბრძოლაში“, „საბჭოთა ახალგაზრდობის საბრძოლო გმირობა დიდ სამამულო ომში“, „ახალგაზრდობა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში“— გააკეთეს პრაპაგანდისტმა შ. მიხელავმელმა, კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანმა ე. გვახვამ, ეთერზეთების ქარხანა-მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ც. გვახვამ, კომკავშირის რაიკომის განყოფილების გამგემ ნ. გეგეშიძემ, პიონერთა სახლის დირექტორმა ლ. კორძახიამ.

კონფერენციის მონაწილეებმა ყვავილების თაიგულებით შეამკეს ვეტერანი კომკავშირელების დ. კაჭარავას, თ. ფრანგიშვილის და ვ. ლიზირიის საფლავები.

მტკიცდება მეგობრობა

ბათუმი. (საკ. კორ.). საბჭოთა და ბულგარელი ხალხების მეგობრობის ისტორიას ღრმა ფესვები აქვს. მეგობრობამ უფრო დაახლოვა აჭარისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოკრუგის მშრომელები. უფროსების მიერ დანერგილ კარგ ტრადიციას აგრძელებენ ახალგაზრდები — კომკავშირელები. მეგობრობა უფრო მტკიცე რომ გახდეს, კარგად უნდა იცნობდე მოძმე ხალხის წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

ამ მიზნით კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტმა ბლაგოევგრადელ მეგობრებს შესთავაზა მოაწყონ კონკურსი „რა იცით ბლაგოევგრადის ოკრუგზე“ და „რა იცით აჭარაზე“. მოძმე ბულგარელები სიამოვნებით გამოეხმაურნენ თაოსნობას.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

ერთნაწილები უპომენტაროდ

რედაქციას უპასუხებს ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომი

ამას წინათ „კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა წერილი სათაურით „სიგნალები უკომენტაროდ“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ქალაქ ზუგდიდის საცურავი აუზის მშენებლობა ჭიანურდება.

ამ სიგნალთან დაკავშირებით ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ჯ. მეშენარბიამ რედაქციას აცნობა.

საცურავი აუზის მშენებლობა დაიწყო 1963 წელს ქალაქის ახალგაზრდობის შრომითი მონაწილეობით. შესრულდა მიწისა და ტრიბუნა-გასაბდელის კედლების ამოყვანის სამუშაოთა ნაწილი, რის შემდეგ მშენებლობა შეჩერებულ იქნა ამის გამო, რომ მშენებლობის ადგილი არასწორად იყო შერჩეული და წყალმომარაგება გადაუწყვეტელი.

საპროექტო ინსტიტუტმა „საქქალაქმშენსახპროექტმა“ შეადგინა საცურავი აუზის ახალი სრულყოფილი პროექტი, რომელიც შედის სასპორტო დანიშნულების ნაგებობათა კომპლექსში. მისი მშენებლობის დაწყება გათვალისწინებულია 1970 წლიდან.

ნითელუბნელთა საჩივრები

რედაქციას უპასუხებს პარტიის გორის რაიკომი

სოფლის კეთილმოწყობაში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა კრიტიკული შენიშვნა, რომელიც ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. წერილთან დაკავშირებით პარტიის გორის რაიკომის მდივანი შ. ლოლაძე რედაქციას სწერს:

„კომუნისტში“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში „ნითელუბნელთა სამდურავი“ გაკრიტიკებული იყო სოფელ ხურვალეთის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა, რომელიც ნაკლებად ზრუნავს ნითელუბნის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის.

მიმდინარე წლის 9 აგვისტოს აღნიშნული საკითხი განხილა საქართველოს კპ გორის რაიკომის ბიურომ და მიიღო საჭირო დადგენილება არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.

ეძღვნება დიად იუბილეს

საქართველოს პროფკავშირთა მონაწილეობა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებაში

ასრულებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ“, სადაც ნათქვამია, რომ დიდი ბელადის დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნის საუკეთესო საშუალებაა მთელი უურადღება და ძალღონე მოვახმაროთ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გრანდიოზული გეგმების განხორციელებას, სკკპ XXIII კონგრესის მიერ დასახული აქტუალური ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური ამოცანების გადაწყვეტას, საქართველოს პროფკავშირებმა ფართოდ გაშალეს ორგანიზატორული მუშაობა ამ მიმართულებით.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს, რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებსა და რესპუბლიკის პირველადს პროფკავშირულ ორგანიზაციებს დააკისრა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებაში, ყოველნაირად განვითარონ სოციალისტური შეჯიბრება და მისი უმაღლესი ფორმა — კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა, აქტიურად დაუჭირონ მხარი მასების შრომისა და პოლიტიკურ აქტივობას, დიეზმარონ მშრომელთა კოლექტივების სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისა და ლენინის იუბილეს ღირსეულად შეხვედრის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში. საჭიროა ფართოდ გაავრცელონ მუშათა, კოლმეურნეთა, მოსამსახურეთა, საბჭოთა ინტელიგენციის პატრიოტული წამოწყებანი, იბრძოლონ წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ტექნოლოგიის სრულყოფის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის საფუძველზე. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა წარმართონ ლენინიზმის იდეების ერთგულების სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის, საბჭოთა ადამიანების შრომითი აქტივობის შემდგომი განვითარებისათვის, პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის, გაამძლიერონ ზრუნვა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის, მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების, დასვენების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

პროფკავშირთა საოლქო საბჭოებმა და რესპუბლიკურმა კომიტეტებმა პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში — კლუბებში, პროფკავშირთა კულტურის სახლებსა და სასახლეებში, ბიბლიოთეკებსა და წითელ კუთხეებში უნდა მოაწყონ მუშებისა და მოხამსახურეებისათვის ლენინური კითხვა, საიუბილეო გამოფენები, მკითხველთა კონფერენციები ლენინის ნაწარმოებთა მიხედვით; გამართონ ლექციები, მოხსენებები და საუბრები ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური საქმიანობის შესახებ, ლექციების ციკლი თემაზე „ვ. ი. ლენინი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში პროფკავშირთა ამოცანების შესახებ“, მონაწილეობა მიიღონ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კომუნისტური აღზრდისათვის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობისა და ხალხური შემოქმედების სრულიად საკავშირო დათვალიერებაში.

დასახულია ღონისძიებანი, რომ წარმატებით მოეწყოს საქართველოში ხალხური თვითმოქმედი ხელოვნების მიღწევათა რესპუბლიკური ჩვენება. ეწყობა ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი კონკურსები მხატვრული პროზის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის მუშათა კლასის შესახებ, ხალხურ ოსტატთა კონკურსები დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებისათვის, კინომოყვარულთა კონკურსები საუკეთესო ფილმების შექმნისათვის. რესპუბლიკის პროფკავშირთა კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, სასწავლებლებში გაიმართება ვ. ი. ლენინის შესახებ მხატვრული და დოკუმენტურ-ქრონიკული კინოფილმების ფესტივალები. საწარმოებში და პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოეწყობა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენები და სტენდები.

საქართველოს პროფკავშირები მოაწყობენ ახალგაზრდათა რესპუბლიკურ ლაშქრობას რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში, ილიჩის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მარშრუტებით. პროფკავშირული აქტივისტები მოაწყობენ ექსკურსიებს მოსკოვის, ლენინგრადისა და ულიანოვსკის ლენინურ ადგილებში. გაიმართება დარგობრივი სპარტაკიადები და პროფკავშირთა 4 რესპუბლიკური სპარტაკიადა. (საქდესი).

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის ნაყოფიერად იმზადება ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშის ბიბლიოთეკა. აქ მოწყობილია 12 თემატური გამოფენა, რომელიც ასახავს პარტიის მოღვაწეობას და ვ. ი. ლენინის ცხოვრებას. ბიბლიოთეკაში ხშირად იკრიბებიან მკითხველები და ეცნობიან ახალ ჟურნალ-გაზეთებს.

ხერაულზე: მკითხველთა ერთი ჯგუფი ოდიშის სასოფლო ბიბლიოთეკაში.

ფოტო პ. ჟუფუნიასი.

„კომუნისტის“ რედაქციაში შემოდის მკითხველთა წერილები ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხებზე.

მკითხველთა ერთი ნაწილი (ივ. ლეფსვერიძე — ქ. თბილისი, შ. გოგებაშვილი — ცაგერის რაიონი) გვთხოვს განვმარტოთ შემდეგი საკითხი: „არის თუ არა რელიგიურობა თანდაყოლილი გრძნობა“. ამასთან დაკავშირებით ვხვდებით ი. ხანთაძის სტატიას „დაბადებით არავის დაპყოლია...“

მეჯიბრების დროშა — ხარაჩოებზე

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის № 4 სამშენებლო ტრესტის კოლექტივმა, რომელსაც გასულ წელს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს საიუბილეო სამახსოვრო დროშა მიეკუთვნა, კიდევ უფრო მაღალი ტემპი აიღო მიმდინარე წელს და გადაჭარბებით გაანალდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა რვა თვის დავალება.

ამ დღეებში, როცა ჭიათურელ მაღაროელთა და ცხაკაელ მშრომელთა ინიციატივით ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა და სოფლის მშრომელთა შორის ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ქუთაისის № 4 სამშენებლო ტრესტის კოლექტივმა შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა — გამოვიდა მშენებელთა შეჯიბრებას ინიციატორად და ახალი, გადიდებული ვალდებულებანი იკისრა. ამ დიად თარიღთან დაკავშირებით.

ახალ სოციალისტურ ვალდებულებებში, რადმლებსაც ხელს აწერენ ტრესტის მმართველი ი. ბიბილეშვილი, პარტბიუროს მდივანი დ. ცაგარელი, პროფკავშირის გაერთიანებული სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე რ. სამხარაძე, № 1, № 3 და № 4 სხლმშენებელი კომბინატის დირექტორი რ. ბეჟუაშვილი, რკწაბეტონის ქარხნის დირექტორი შ. ნუცუბიძე, მშენებელთა კომპლექსური ბრიგადების ხელმძღვანელები გ. გოშაძე და ვ. ბუჩიძე, ნათქვამია:

მიმდინარე ხუთწლედის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმას შევასრულებთ ვადაზე ადრე — 1970 წლის 7 ნოემბრისათვის, ხოლო ხუთწლედის უკანასკნელი წლის ოთხი თვის დავალებას ყველა მარჯვენებლის მიხედვით გავანაღდებთ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავზე — 1970 წლის 22 აპრილისათვის; 1968 წლის დავალებას შეგასრულებთ 25 დეკემბრისათვის და საექსპლოატაციოდ გადავცემთ 25.000 კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს.

წლის ბოლომდე ავამოქმედებთ რკინაბეტონის ახალი ქარხნის პირველ რიგს, ხოლო 1970 წელს გათვალისწინებულ ვადაზე ერთი თვით ადრე სრული სიმძლაერით ავამუშავებთ ქარხანას; 1969 წელს საექსპლოატაციოდ გადავცემთ ქუთაისის წისქვილკომბინატს, ხოლო 1970 წლის 1 ნოემბრისათვის, ვადაზე ორი თვით ადრე ჩავაბარებთ საკონდიტრო ფაბრიკას; მიმდინარე წლის ბოლოსათვის საექსპლოატაციოდ გადავცემთ აბრეშუმის კომბინატის საგამომყვანო ფაბრიკის პირველ რიგს.

ვადაზე ადრე ჩავაბარებთ ავრეთვე რეზინის ტექნიკური ნაწარმის ქარხნის ახალ კორპუსს; ვადამდე დავამთავრებთ წულუკიძის სირეზული მასალების ნაკეთობათა ქარხნის მშენებლობას და მთლიანად გავამზადებთ საწარმოო სიმძლავრეებს იმისთვის, რომ უკვე 1970 წელს ქარხანამ 10 ათასი ტონა პოლეთილენის ფირი დამზადოს; 1969 და 1970 წლებში ვადაზე 15 დღით ადრე გადავცემთ საექსპლოატაციოდ სკოლებს, სბავშვო ბაღსა და ბაგა-ბაღს, საავადმყოფოს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტებს, ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვითა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განხორციელებით სამშენებლო ობიექტებზე შრომის ნაყოფიერებას გეგმასთან შედარებით გავზრდით 0,5 პროცენტით, ხოლო ტრესტის დაქვემდებარებულ საწარმოებში — 1 პროცენტით; სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულებას გეგმასთან შედარებით შევამცირებთ 1 პროცენტით; ხუთწლედის ბოლოს სამშობლოს მივცემთ 120 ათას მანეთ ზეგეგმითს მოგებას; ხუთწლედის ბოლომდე დარჩენილ პერიოდში გამომგონებლობით და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მივიღებთ 80 ათასი მანეთის ეკონომიას; მშენებელთა კომპლექსური ბრიგადების რაოდენობას გავზრდით 70-მდე. ხოლო შრომის ანაზღაურების აკორდულ და აკორდულ-პრემიალურ სისტემაზე გადავიყვანთ მუშათა საერთო რაოდენობის სულ მცირე 60 პროცენტს.

ავამაღლებთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხს. მივაღწევთ იმას, რომ 1969 წელს ყველა ობიექტი ჩაბარდეს „კარგი“ შეფასებით, ხოლო 1970 წლის ოთხ თვეში „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით სამშენებლო მასალების მომჭირნეობით ვ. ი. ლენინის დაბადების დიდი თარიღისათვის მივიღებთ 40-50 ათასი მანეთის ეკონომიას.

იგისრა რა ეს ვალდებულებები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ქუთაისის № 4 სამშენებლო ტრესტის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ლიტვის რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის ქ. აუნუსის № 6 სამშენებლო ტრესტის კოლექტივი.

შ. ჯავახაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

გულითადი შეხვედრა მეგობრებთან

ხერსონი, 10 ოქტომბერი. (საქდესის სპეც. კორ.). სტუმართმოყვარულ ხერსონის ოლქში რვა დღის ყოფნის შემდეგ დღეს შინ გაფრინდა მახარაძის რაიონის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის მშრომელებთან მეგობრობისა და შეჯიბრების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმში.

გენიჩესკიდან დღესასწაულმა გადაინაცვლა საოლქო ცენტრში. „გზად ძმადნაფიცი ქალაქიდან მახარაძელებმა დაათვალიერეს კახოკის უდიდესი სარწყავი სისტემის მშენებლობა, ეწვივნენ ქალაქებს კახოკასა და ნოვაია კახოვკას.

ხერსონიდან გამგზავრების წინ მახარაძელებმა და გენიჩესკელებმა გვირგვინებით შეამკეს ლენინის ძეგლი თავისუფლების მოედანზე და უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

შემდეგ მათ დაათვალიერეს ქალაქი, იყვნენ ბამბეულის კომბინატში.

უკრაინის კომპარტიის ხერსონის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან **ა. კოჩუბეისთან** დარბაზობაზე საქართველოს დელეგაციის მეთაურმა, პარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. თოიძემ** მადლობა გადაუხადა უკრაინელ მეგობრებს მასპინძლობისა და გულითადობისათვის.

სტუმრებს უჩვენეს ფილმი მათი ყოფნის შესახებ ოლქში, რომელიც გადაიღო ხერსონის ტელევიზიის სტუდიამ.

გულითადია მეგობრებთან შეხვედრა! ამ შეხვედრის სითბო დიდხანს გაჰყვა მახარაძელებს, რომლებიც შინ ბრუნდებოდნენ.

დაბადებით არავის დაპყოლია...

„კომუნისტის“ რედაქციაში შემოდის მკითხველთა წერილები ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხებზე.

მკითხველთა ერთი ნაწილი (ივ. ლეფსვერიძე — ქ. თბილისი, შ. გოგებაშვილი — ცაგერის რაიონი) გვთხოვს განვმარტოთ შემდეგი საკითხი: „არის თუ არა რელიგიურობა თანდაყოლილი გრძნობა“. ამასთან დაკავშირებით ვხვდებით ი. ხანთაძის სტატიას „დაბადებით არავის დაპყოლია...“

◆

ეკლესიის მსახურნი და მომდევრები ირწმუნებიან, რომ რელიგიურობა არის „თანდაყოლილი“ გრძნობა. იგი დასაბამიდან თვით ღვთისაგან აქვს ადამიანს ბოროტებული და ისევე განუყრელი მისგან, როგორც შიმშილის, შიშის, საყვარულის ან სიხარულის გრძნობები. ბევრი ღვთისმეტყველი რელიგიურ გრძნობას იგივეს ეუბნებოდა ინტანქტებთან, რელიგიურობა — ამბობენ ისინი — ადამიანის ისეთივე თანდაყოლილი თვისებაა, როგორც ობობასთვის — ქსელის გაბმა, ფუტკრისთვის — ფიჭის აგება, ჩიტისთვის — ბუდის გაკეთებაო.

აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებლობის ღვთისმეტყველური ენციკლოპედიის ლექსიკონშიც რელიგია განმარტებულია როგორც „დასაბამიდან ადამიანის თანდაყოლილი მთხოვნილება ღმერთთან კავშირის დამყარებისა“.

მეცნიერება, პრაქტიკა, ცხოვრების დაკვირვებები გადაჭრით უარყოფენ რელიგიური გრძნობის თანდაყოლილობის იდეას. ჩვენს დროში დამაჯერებლად დამტკიცებულია, რომ რელიგია არის ისტორიული მოვლენა. იგი აღმოცენდა კაცობრობის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ხოლო მანამდე, მრავალი ათასეული წლის მანძილზე ადამიანს არავითარი რელიგიური გრძნობა, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონია ღმერთებზე.

მეცნიერების ვარაუდით კაცობრიობის არსებობა დაახლოებით ერთ მილიონ წელს ითვლის. აქედან 900 ათასი წელი რელიგიამდელი, ანუ ურელიგიო პერიოდი იყო. ამ პერიოდის ბერკვალყოფილ ადამიანებს არავითარი რელიგია არ ჰქონდათ. რელიგიის არსებობას კი მხოლოდ უკანასკნელი 45-50 ათასი წლის ისტორია აქვს.

ღვთისმეტყველები ირწმუნებიან, რომ რელიგია ერთადერთი ნიშანია, რომელიც განასხვავებს ადამიანს ცხოველებისაგან. ადამიანები ლოცულობენ ღმერთს, ცხოველები კი მოკლებული არიან ღვთის რწმენას. თუ მორიელ წინაპრებს, ბეთელკონოროპებსა და სინანთროპებს არ ჰქონდათ რელიგია, არ ლოცულობდნენ ღმერთს, მამასადამე, ისინი არ იყვნენ ადამიანებიო.

ღვთისმეტყველთა ასეთი შეხედულება ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. მარქსისტული მეცნიერების თანახმად ადამიანის დამახასიათებელი ნიშანია არა რელიგია, არამედ შრომის იარაღების წარმოება, შრომა. „შრომამ შექმნა ადამიანი“. ეს არის სწორედ ის, რაც ადამიანს ცხოველებისაგან განასხვავებს. პითეკანთროპები, სინანთროპები ადამიანები იყვნენ, რადგან თანამედროვე არქეოლოგიის მონაცემებით მრავალგზის დამტკიცებულია, რომ ისინი აწარმოებდნენ შრომის იარაღებს, ჩაღებდნენ ცეცხლს, აკეთებდნენ ჯურეელს. ამა სლაფონ და დიგისახელონ ღვთისმეტყველებმა თუნდ ერთი ფაქტი, რომ ცხოველები აწარმოებდნენ შრომის იარაღებს. რა თქმა უნდა, ასეთ ფაქტს ისინი ვერ იპოვნიან.

და არა მარტო შორეულ წარსულში, არამედ შედარებით სულ ახლო დროში ჩვენ ვხვდებით ჩამორჩენილ ცალკეულ ტომებს, ან ტომთა ჯგუფებს, რომლებსაც რელიგიაზე წარმოდგენა არა აქვთ. ცნობილია, რომ ჩარლზ დარვინმა, რომელმაც გემ „ბიგლით“ ამოგზაურა (1831-1836 წწ.), დიდი ყურადღებითა და საფუძვლიანად შეისწავლა ცეცხლოვანი მიწის მცხოვრებთა ყოფაცხოვრება და ჩვეულები. იგი წერდა: „ჩვენ ვერ ვიპოვნეთ ცეცხლოვან მიწაზე კაცი, იმის რწმენისა, რასაც ღვთიება ეწოდება. ვერ აღმოვაჩინეთ რელიგიური წესჩვეულების ნიშნწყალიც“.

ასევე ითქმის ტასმანიელებზე, რომლებიც ასი წლის წინათ გაეცალტეს ინგლისელებმა. ბევრ ეთნოგრაფს ტასმანიელები მიანიდა ყველაზე ჩამორჩენილ ხალხად დედამიწაზე. პირველყოფილი საზოგადოების ზედმიწევნით მცოდნე პ. პ. ეფიმენკო ტასმანიელებზე წერდა, რომ „რელიგიური წარმოდგენები გარკვეული სახით კიდევ არ არის მათში ჩამოყალიბებული. მათ ენაშიც ვერ ვხვდებით რელიგიურმისტიკური ცნებებს“.

ცნობილი რუსი მოგზაური, ეთნოგრაფი და მწერალი ნ. ნ. მიკლუხო-მაკლაი (1846-1888 წ.წ.), მთელი წლობით რომ ცხოვრობდა პაპუასებთან, სწავლობდა მათს ყოფაცხოვრებასა და ჩვეულებს, მოგვითხრობს, რომ პაპუასებს წარმოდგენა არა აქვთ სულზე, როგორც დამოუკიდებელ არსებაზე. ჩემს შეკითხვაზე: „რას აკეთებენ ან სად მიდიან მკვდარი ადამიანები? — წაუბურძგიებლად მიპასუხებენ: „ადამიანი მოკვდა — მოკვდა. ადამიანი უკვე არ არის!“

სუმატრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჭაობიან ტყეებში, რომლებსაც რომბას ეძახიან, ცხოვრობენ კუბუს ტომთა ჯგუფები. ევროპიელები, რომლებიც კუბუს მხოლოდ XIX საუკუნის 50-იან წლებში გეაცნენ, ირწმუნებიან, კუბუმ არაფერი არ იცის რელიგიის შესახებო.

ამასვე ამბობს ეთნოგრაფი ვ. ფოლეი: „უზენაეს არსებებზე კუბუს არა აქვს არაკეთილი წარმოდგენა. ათეულმა საუკუნეებმა უშედეგოდ გადაიარა მათ თავზე. ადამიანური არსებები დაჩაგვდნენ, ჩამოხსნენ და გამოიფიტნენ რომბას მრისხანე წყალდაღში“. როგორ უნდოდა ფოლეს, მორწმუნე ადამიანს, კუბუში რელიგიის კვალი აღმოეჩინა, მაგრამ ამაოდ.

რას ამტკიცებენ ეთნოგრაფების მიერ აქ მოყვანილი ფაქტები? იმას, რომ ურელიგიო პერიოდის ადამიანებმა ჩვენ დრამდეც კი მოაღწიეს, რომ რელიგიურობა ადამიანის თანდაყოლილი ატავიზმია არ არის. ამას ამტკიცებს თანამედროვე ანთროპოლოგიის, ეთნომეცნიერებისა და ფსიქოლოგიის მონაცემებიც.

ეკლესიის მსახურნი და მომდევრები კი ისევ თავისას გაიძახიან: რელიგია მარადიული, რელიგიურობა დაბადებიდან დაჰყვა ადამიანს და მისი მოსპობა ან გაუქმება არ შეიძლებაო.

თვითონ განსჯეთ, განა შეიძლება სერიოზულად ვამტკიცოთ, რომ ახალშობილ ბავშვს, რომელიც ეს-ეს არის თვალი გაახელა, თან დაჰყვეს რელიგიური გრძნობა? ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ბავშვისათვის, რომელიც იზრდება ოჯახში, თუ მისი მშობლები მორწმუნენ არ არიან, უცნობი იქნება თვითონ სიტყვა „ღმერთი“. კიდევ მეტი, მისთვის უცნობი იქნება ისეთი გრძნობები, როგორიც არის „ღვთის შიში“, „სიყვარული ზეციერისადმი“ და ა. შ. ბავშვის რელიგიურობა მორწმუნე მშობლების, ნათესავების, მეზობლების და გარემომცველი წრის გავლენით არის აღმოცენებული. და თუ დავიცავთ ბავშვს ამ გავლენისაგან, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი არ იქნება მორწმუნე ადამიანი.

ჩვენ ვიცით უამრავი ფაქტი, როცა ბავშვები იზრდებოდნენ უჩვეულო პირობებში. მათ კვებავდნენ და ასაზრდოებდნენ გარეული მხეცები. ფრანგმა ფილოსოფოსმა ეტიენ კონდილიაკმა ჯერ კიდევ 1757 წელს აღწერა ლიტველი ბიჭუნა, რომელიც დათვის ბუნაგში იზრდებოდა. ეს ბიჭი, როცა ის ადამიანებმა იპოვნეს, სრულიად გაველურებული იყო და გონიერების არავითარ ნიშნებს არ ავლენებდა. არ ჰქონდა მეტყველების უნარი და დადიოდა ოთხზე.

სოციალისტ-უტოპისტი სენ-სიმონი მოგვითხრობს თორმეტი წლის ბიჭუნა ბიჭტორზე, რომელიც 1797 წელს იპოვნეს ტყეში. ცნობილია, რომ ამ ფაქტმა დიდად გაიხარა ამბავი ვინმე სიკარი, რომელიც უშედეგოდ ცდილობდა გამოეკეთებინა ბიჭტორის მაგალითი ღვთიური არსების დემონსტრაციისათვის.

ბოლოს, სულ ახლო წარსულში, 1920 წელს, ინდოეთის ჯუნგლებში დოქტორმა სინნამ მგლის ბუნაგში იპოვნა ორი გოგონა, რომლებიც მოუტაცნიათ მხეცებს. გოგონებს თვითონ რძით კვებავდა ძუ მგელი. წლების მანძილზე გოგონები იზრდებოდნენ მხეცთა ბუნაგში. ერთი მათგანი 7-8 წლისა იყო, მეორე — 2 წლისა. უმცროსი მალე გადაიცვალა, ხოლო უფროსმა, რომელსაც კამალას ეძახდნენ, 10 წლამდე იცოცხლა. კამალას სავსებით შეთვისებული ჰქონდა მგლის ბუნება და ხასიათი. იგი დადიოდა ოთხზე, წყალს ლოკავდა სვლებით, ხორცს სჭამდა მხოლოდ იატაკიდან. დღისით ეძინა ცეცხლით ტუსაღში, პირით ციდლისკენ. ტანსაცმელს ტანზე იგლეჯდა და სიცივეშიც საბანს არ იყენებდა. უკმაყოფილების დროს ყმოდა. როგორ უნდოდა დოქტორ სინნას კამალაში რელიგიური გრძნობის რაიმე ნიშანი იპოვნა, მაგრამ ამაოდ. ასეთი მას არ აღმოაჩნდა.

ყველა ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ რელიგიურობა ადამიანის თანდაყოლილი გრძნობა კი არ არის, არამედ იგი შეიძინება საზოგადოებაში, საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე.

აი კიდევ ერთი მაგალითი. ფადიშაჰი აკბარი ფიქრობდა ინდოეთში დაენერგა მის მიერ გამოგონილი ახალი რელიგია, რომელიც იუდაიზმის, ზოროასტრიზმის, ისლამისა და ქრისტიანობის შერწყმას წარმოადგენდა. იგი შეედავა სასახლის ღვთისმეტყველებს, რომლებიც „ამტკიცებდნენ“, რომ ეწა და საარწმუნოება ადამიანს თანდაყოლილი აქვს, რომ ყოველი ბავშვი აღაპარაკდება თავისი წინაპრების ენაზე, აგრეთვე იწამებს იმ ღმერთს, რომელიც სწამდათ მის წინაპრებს, თუნდაც ეს მას არავინ ასწავლოსო.

საკითხის გადასაწყვეტად ფადიშაჰმა აკბარმა აღმოსავლური დესპოტიზმის სიმკაცრით მოიწყო ექსპერიმენტი. თორმეტი სხვადასხვა ეროვნების (ინდოელი, ჩინელი, ბირმელი...) ახალდაბადებული ბავშვი ჩაკეტა ძველ ციხეში და მიუჩინა მათ რამდენიმე მუნჯი გამზრდელი-ძიძა, რომლებიც სხვა ადამიანებისაგან სრულ იზოლაციაში იმყოფებოდნენ. აკბარმა ეს გააკეთა იმისათვის, რომ რამდენიმე წლის შემდეგ გაეღო ციხის კარები და თვისნი თვალით დაენახა რა მდგომარეობაში იქნებოდნენ შიგ ჩაკეტილი ბავშვები, მართლა ალაპარაკდებოდნენ ისინი წინაპართა ენაზე და იწამებდნენ წინაპართა ღმერთებს, თუ არა.

ექსპერიმენტი გაგრძელდა 7 წელს. როცა აკბარმა სასახლის ღვთისმეტყველთა თანხლებით თვითონ გააღო ციხის კარები, რომლის გასაღებს 7 წელიწადს ყელზე დაკიდებულს ატარებდა, მათ დანახეს ველური ბავშვები, რომლებიც ღრიალებდნენ, ჩხაოდნენ, ყმოდნენ და კნაოდნენ. მათ არ ჰქონდათ სიტყვის წარმოთქმის უნარი, არ იცოდნენ არც ერთი ენა, რაც სავსებით ბუ

საერთაშორისო ცხოვრება

მსოფლიოს დეკორაცია
საკგენტოები გვეტყვიან

გენერალურ ასამბლეაზე

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). **გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია.**

გვინეის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სტატს-მდივანმა ა. ა. **დიალომ** ილაპარაკა თანამედროვე აფრიკაში შექმნილ ვითარებაზე, პრობლემებზე, რომლებიც დასახულია დამრუკიდებელი განვითარების გზაზე დამდგარი ქვეყნების წინაშე. იგი შეეხო ღონისძიებებს, რომლებსაც გვინეის მთავრობა ახორციელებს კოლონიური ბატონობის შედეგების ლიკვიდაციისათვის, ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის. დიალომ ხაზი გაუსვა, რომ გვინეის ხალხს, ისე როგორც აფრიკის სხვა ხალხებს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იარონ თავიანთი გზით. ისინი არასოდეს არ დაუშვებენ კოლონიური ბატონობის აღდგენას თავიანთ ქვეყნებში. გვინეის წარმომადგენელმა დაგმო იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ცდები შეინარჩუნონ გავლენა და ბატონობა აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში და აღნიშნა: იმპერიალისტური სახელმწიფოების ბრალია, რომ აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში სისხლი იღვრებაო. მან თქვა, კერძოდ, რომ პორტუგალიელი კოლონიზატორები დიდი ხანია განდევნილი იქნებოდნენ აფრიკის მიწა-წყლიდან, მათ რომ მხარს არ უჭერდნენ მოკავშირენი — ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკის წევრები. დიალომ მკაცრად გააკრიტიკა ინგლისის მთავრობა იმისათვის, რომ ხელს უწყობს სამხრეთ როდეზიის სმიტის რასისტულ რეჟიმს, რომელიც მან დახასიათა როგორც ნეონაციზმის მატარებელი. გვინეის წარმომადგენელმა მოუწოდა შეერთებულ შტატებს შეწყვიტოს მხეცური ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრმა **პ. გრეგუარმა** მოითხოვა რაც შეიძლება სწრაფად მოაწესრიგონ კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთში, ვიეტნამსა და ნიგერიაში.

ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ი. ლუნგმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ყოველნაირად განამტკიცონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტი და მატერიალური შესაძლებლობანი. იმისათვის, რომ იგი უფრო ეფექტიან დახმარებას უწევდეს ისეთი კონფლიქტების გადაჭრას, როგორიცაა კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში ან ვიეტნამის ომი. მან თქვა, რომ ნორვეგიის მთავრობა მიესალმება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, და გამოთქვა რწმენა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმწიფოთა უმრავლესობა უახლოეს ვადაში ხელს მოაწერს ამ ხელშეკრულებას.

გუშინდელ სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა რუანდის წარმომადგენელი, რომელმაც გაანაცხადა, რომ მისი ქვეყნის ხალხი მზად არის აფრიკის სხვა ხალხებთან ერთად იაროს კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაციის გზით, დაუცხრომლად იბრძოლოს კონტინენტის ეკონომიური და კულტურული აღორძინებისათვის.

რუანდის დელეგატმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნის ხალხი მხურვალედ მიესალმება ყოველგვარ პროგრესს განიარაღების დარგში.

დღეს სესია განაახლებს მუშაობას.

„გენერალური ასამბლეის სესიაზე სუდანის წარმომადგენელმა რამპანმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთხელაც არ დაუგმია ისრაელი ოკუპანტები და ისე იქცევა, თითქოს ვერაფერს ხედავდეს და არაფერი იცოდეს. (გაზეთიდან).

კამუფლიაჟი ამერიკულად — ნახ. გ. ლომაძისა.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომა

პრაღა, 9 ოქტომბერი. (საკდესი). **რუბრიკ ჩეხოსლოვაკიის დეკემბათა საკგენტო იუწყება, გუშინ პრაღაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც მიმდინარეობდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ა. დუბჩეკის თავმჯდომარეობით.**

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა, ნათქვამია ცნობაში, განიხილა მიმდინარე წლის 3 და 4 ოქტომბერს გამართული მოსკოვის მოლაპარაკების შედეგები, ინფორმაციისა და დისკუსიის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაეთანხმა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მოქმედებას მოსკოვის მოლაპარაკებაზე.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ უახლოეს დღეებში კონკრეტულად ჩამოაყალიბოს პარტიის მთავარი სადღეისო ამოცანები, რომლებსაც განიხილავს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი და რომლებსაც გააცნობენ პარტიულ ორგანიზაციებსა და საზოგადოებრიობას.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ყოველნაირად განამტკიცონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტი და მატერიალური შესაძლებლობანი. იმისათვის, რომ იგი უფრო ეფექტიან დახმარებას უწევდეს ისეთი კონფლიქტების გადაჭრას, როგორიცაა კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში ან ვიეტნამის ომი. მან თქვა, რომ ნორვეგიის მთავრობა მიესალმება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, და გამოთქვა რწმენა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმწიფოთა უმრავლესობა უახლოეს ვადაში ხელს მოაწერს ამ ხელშეკრულებას.

გუშინდელ სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა რუანდის წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ მისი ქვეყნის ხალხი მზად არის აფრიკის სხვა ხალხებთან ერთად იაროს კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაციის გზით, დაუცხრომლად იბრძოლოს კონტინენტის ეკონომიური და კულტურული აღორძინებისათვის.

რუანდის დელეგატმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნის ხალხი მხურვალედ მიესალმება ყოველგვარ პროგრესს განიარაღების დარგში.

დღეს სესია განაახლებს მუშაობას.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა, ნათქვამია ცნობაში, განიხილა მიმდინარე წლის 3 და 4 ოქტომბერს გამართული მოსკოვის მოლაპარაკების შედეგები, ინფორმაციისა და დისკუსიის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაეთანხმა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მოქმედებას მოსკოვის მოლაპარაკებაზე.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ უახლოეს დღეებში კონკრეტულად ჩამოაყალიბოს პარტიის მთავარი სადღეისო ამოცანები, რომლებსაც განიხილავს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი და რომლებსაც გააცნობენ პარტიულ ორგანიზაციებსა და საზოგადოებრიობას.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენ განამტკიცებთ საზოგადოების ერთიანობას პრინციპებით, რომლებსაც საფუძვლად უდევს სოციალიზმის მშენებლობის ზოგადი კანონები და ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობისადმი შემოქმედებითი მარქსისტულ-ლენინური მიდგომა, განამტკიცებთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლით.

შემდეგ პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საჭიროა მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცეს გზებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიის იდეური და ორგანიზაციული ერთიანობის განმტკიცებას, შინაპარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების ახსნა-განმარტებასა და გამოყენებას, პარტიაში შეგნებული დისციპლინის და პარტიის პოლიტიკის სწორი განხორციელებისათვის კომუნისტთა პასუხისმგებლობის აწაღლებას, რაც განუყოფელია შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებისაგან.

პარტიის მთავარი ამოცანების პროექტში კვლავაც დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სწორ საკადრო პოლიტიკის პრინციპების შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში მუშაობდნენ ისინი, ვისაც ხალხი ენდობა და მტკიცედ დგას სოციალიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიერ რეკომენდებულია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს იდეოლოგიური მუშაობის დარგში ამოცანების შემუშავებას. თითოეული კომუნისტი და ხელმძღვანელობდეს ინტერნაციონალიზმის პრინციპებით. ჩვენი იდეოლოგიითა და პოლიტიკით, ნათლად ესმოდეს, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების პერსპექტივას წარმოადგენს კავშირი საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, ეს უნდა ედოს საფუძვლად ყველა ღონისძიების პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და სამხედრო დარგებში. ეს განსაკუთრებით სავალდებულოა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის, რომელთა საქმიანობა უნდა განვითარდეს მკაფიოდ გამოხატული სოციალისტური სულისკვეთებით და წარმართულ იქნეს, რომ ხელი შეუწყონ პარტიის მეცადინეობას ბრძოლაში დეკლარაციისა და მოსკოვის შეთანხმებათა შესასრულებლად. ამ მიმართულებით პრეზიდიუმმა დაადგინა განამტკიცონ მათი ხელმძღვანელობა.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ რეკომენდებულია აგრეთვე მკაფიოდ ჩამოყალიბონ პრინციპები, რომლებზეც აგებულია ჩვენი პოლიტიკური სისტემა. დამკარებული ეროვნული ფრონტის სოციალისტურ პლატფორმაზე, რომელიც დახურულია ახალი პოლიტიკური პარტიებისათვის. ამასთან საჭიროა შევინარჩუნოთ ახლანდელი პოლიტიკის ყველა პოზიტიური პრინციპი (პარტიის კავშირი ხალხთან, მშრომელთა მონაწილეობა პარტიის პოლიტიკის ფორმირებასა და რეალიზაციაში) და ამავე დროს ვობრძოლოთ შესაძლო ანარქისტული ტენდენციების წინააღმდეგ, მივაღწიოთ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების საფუძველზე მთელი საზოგადოებრივი ძალების დაჩქარებულ შეკავშირებას.

დოკუმენტში „პარტიის მთავარი სადღეისო ამოცანები“ შეიტანა საკითხები, რომლებიც გამომდინარეობენ ჩვენი სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობის რეალიზაციისა და ახალი სახელმწიფო-სამართლებრივი წყობის პირობებში პარტიის საქმიანობიდან; ონონისძიებანი იმისათვის, რომ ხელმძღვანელობის ახალი სისტემისა და ეკონომიური რეფორმის რეალიზაციის დროს უმჯობესდებოდეს კავშირი სახალხო მეურნეობისადმი ჯეგმილ ხელმძღვანელობასა და ობიექტურად მოქმედი ორმხრივი ურთიერთობის ჯამოყენებას შორის; მთავარი ამოცანები საგარეო პოლიტიკური ურთიერთობის დარგში, რომელთა საფუძველად მიგვაჩნია სოციალისტურ • ქვეყნებთან თანამშრომლობის განმტკიცება: ონონისძიებანი იმისათვის, რომ ჩვენმა პარტიამ თავისი წევრები შეიტანოს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების საქმეში, რომ ჩვენი რესპუბლიკა როგორც სოციალისტური ბანაკის ყარი რგოლი, ეფექტიანად უწყობდეს ხელს ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მთავარი ყურადღება დაუთმო იმას, რომ საფუძველი პარტიის შემდგომი მუშაობისა, რომლის პროექტი წარედგინება ცენტრალურ კომიტეტს, კვლავაც იყოს სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განვითარების ამოცანათა პოზიტიური გადაწყვეტა.

● ᲙᲝᲜᲒᲝ

გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). ბრაზავილის კონგოს მთავრობამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა კინშასის კონგოსთან, ეს გადაწყვეტილება მიიღეს იმის წინააღმდეგ პროტესტად ნიშნად, რომ კინშასაში სიკვდილით დასაჯეს ცნობილი კონგოელი პოლიტიკური მოღვაწე პიერ მულელე.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საკგენტოს კინშასელი კორესპონდენტი იტყობინება, ბრაზავილის კონგოს რეკვიზიციის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ მარიან ნგუაბის, რომელიც ბრაზავილის ტელევიზიით გამოვიდა, განაცხადა, კინშასის კონგოს მთავრობის ეს აქტი „ვერაგობაა“ და თქვა „უფლებას ვიტოვებ ეს საკითხი დავსვა საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე, მათ შორის აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციაშიო“.

● ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲐ

დაიღუპა პატრიოტი

ბოგოტა, 9 ოქტომბერი. (საკდესი). კოლუმბიაში მთავრობის ჯარების ქვეგანაყოფებთან ბრძოლის დროს მოკლეს მაიორი სიერო ტრუხილიო კასტანო — კოლუმბიის გლეხთა მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი.

კოლუმბიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გუშინ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ სიერო ტრუხილიო „იყო პატრიოტი, რომელსაც უყვარდა სამშობლო და თავი გასწირა მისი თავისუფლებისათვის ბრძოლაში“.

ᲔᲠᲗᲣ

ეს დემონსტრაცია გაიმართა პერუში. პოლიციელები ხცემენ სტუდენტებს, რომლებიც პროტესტს გამოთქვამენ სახელმწიფო გადატრიალების წინააღმდეგ.

ფოტო გაზეთ „დეილი უორლდიდან“.

ᲡᲐᲛᲫᲘᲛᲐᲠᲡ ᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს იონ გეორგე მაურერს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„საბჭოთა მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით, გამოვთქვამ დიდ სამძიმარს თქვენს ქვეყანაში მომხდარი საკენიზო კატასტროფის გამო, რომელსაც დამიანთა მსხვერპლი მოჰყვა.

გთხოვთ ამ უბედურების დროს დაზარალებულთა ოჯახებს გადასცეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა“.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

● **ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐ,** 10 ოქტომბერი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ცია ვინრა ამცვალეს ამერიკელებმა 7 ოქტომბერს ამოაგდეს კიდევ ერთი ამერიკული თვითმფრინავი, რომელიც მეიჭრა ჩრდილოეთ ვიეტნამის საჰაერო სივრცეში ვინლინის პროვინციაში. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო უწყებაა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოგდებული თვითმფრინავების რიცხვმა 3.198-ს მიაღწია.

● **ᲓᲔᲚᲘ,** 10 ოქტომბერი (საკდესი). აქ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების თანახმად, მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის ინდოეთის მოსახლეობა 526 მილიონს სჭარბობდა. მოსახლეობის ყოველწლიური მატება 2,5 პროცენტს შეადგენს.

● **ᲑᲝᲜᲜᲘ,** 10 ოქტომბერი. (საკდესი). რამშტაინში (პფალცი) ატომს სამხედრო-საჰაერო ბაზაში დაეშვნენ ამერიკის შეერთებული შტატების ტაქტიკური ავიაციის 22-ე ესკადრის საბრძოლო თვითმფრინავები. ესკადრილიაში შედის 18 თვითმფრინავი „ფანტომი“.

მიზნები უცვლელი რჩება

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ს. ლოსევი იუწყება:

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ებანის კორესპონდენტთან ამბავი ერთო პოლიტიკურ დისკუსიაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში, როგორც დელეგაციათა წრეებში მიაჩნიათ, ადასტურებს ისრაელის განზრახვას, — კვლავაც საბოტაჟი გაუწიოს უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის განხორციელებას. ებანის ვრცელ სიტყვაში არ არის არც ერთი ფრაზა იმის შესახებ, რომ ისრაელი მზად იყოს შეასრულოს ეს რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს ისრაელის ჯარების გაყვანას მათ მიერ დაპყრობილი არაბული ტერიტორიებიდან. ამის ნაცვლად ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ცდილობდა დაემახინჯებინა საბჭოს რეზოლუციის მკაფიო და ნათელი აზრი და დაეხატა იგი როგორც გადაწყვეტილება, რომელიც არავის არაფერს ავალებს.

ებანის გამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე ამერიკის პრესა ფართოდ უწევდა რეკლამას ისრაელის „ზავის გეგმას“, რომელიც, როგორც გაზეთები აღნიშნავდნენ, საგარეო საქმეთა მინისტრს უნდა წარედგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისათვის. მაგრამ ებანის მიერ ჩამოყალიბებულ ცხრა პუნქტში არ არის მთავარი — დაბრუნება, რომ შეასრულონ უშიშროების საბჭოს ნოემბრის რეზოლუციის ძირითადი მოთხოვნა — ისრაელის მიერ შარშან იგნისში დაპყრობილი არაბთა ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანის შესახებ. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის კონკრეტულ წინადადებას რეზოლუციის ეტაპობრივად შესრულების გეგმის შემუშავების შესახებ ებანმა დაუპირისპირა ბუნდოვანი ფორმულები, საჭიროა ისრაელისათვის უზრუნველყონ „უსაფრთხო და აღიარებული საზღვრებიო“.

მაგრამ, მიუხედავად მთელი თავისი სიტყვიერი ყალთაბანდობისა, ებანმა ვერ შეძლო დაეფარა ის ფაქტი, რომ „ზავის გეგმა“, რომელიც მან წამოაყენა, ცხადყოფს ისრაელის მთავრობის მისწრაფებას შეინარჩუნოს დაპყრობილი არაბული ტერიტორიები და თავს მოახვიოს არაბული სახელმწიფოებს ზავი საკუთარი პირობებით. ამას მოწმობს აგრეთვე ისრაელის მთავრობის პრაქტიკული ღონისძიებები დაპყრობილი არაბული მიწების შესანარჩუნებლად და „ასათვისებლად“.

ისრაელის პარლამენტის მიერ ისრაელის იურისდიქციის გავრცელება იერუსალიმის არაბულ ნაწილზე, იორდანიის დასავლეთ ნაპირსა და გოლანის მაღლობებზე სამხედრო და სასოფლო-სამეურნეო დასახლებათა შექმნა, ტელ-ავივის თებერვლის განცხადება იმის შესახებ, რომ სინაის ნახევარკუნძული, ღაზის რაიონი, მდინარე იორდანის დასავლეთი სანაპირო და გოლანის მაღლობები ამიერიდან „აღარ ჩაითვლება მოწინააღმდეგის ტერიტორიად, აგრეთვე დაპყრობილი მიწების „მონელების“, სხვადასხვაგვარი გეგმები — ასეთია ფაქტები, რომლებიც ამხილებენ ისრაელი დიპლომატის მშვიდობისმოყვარული ფესტების სიყალბეს.

ᲔᲑᲔᲛᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲡ

ვაშინგტონი, 10 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ჩუქსევი იტყობინება:

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გადადგა ნაბიჯი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს დაძაბულობას ახლო აღმოსავლეთში. გუშინ თეთრ სახლში გამოაცხადეს, რომ პრეზიდენტმა ჯონსონმა განკარგულება მისცა სახელმწიფო მდივანს რასკს მოლაპარაკება დაიწყოს ისრაელის მთავრობასთან ამერიკული სამხედრო თვითმფრინავების მიწოდების შესახებ. საქმე ეხება ტელ-ავივის შეიარაღებას თანამედროვე ზებგერითი „ფ-4 ფანტომის“ ტიპის ავიაგამანადგურებელი-ბომბდამშენებით.

ისრაელ აგრესორებთან გარიგების მზადების შესახებ გამოცხადებას წინ უსწრებდა ისრაელის პრემიერ-მინისტრის ეშკოლის მოლაპარაკება ჯონსონთან მიმდინარე წლის დამდეგს. როგორც საქმეს კარგად გაცნობილი ამერიკელი მიმომხილველნი აღნიშნავენ, ტელ-ავივი მოითხოვს სახელმწიფო „ფანტომს“.

ისრაელისათვის ამერიკული ავიაგამანადგურებლების მიყიდვის შესახებ პუნქტი შეტანილია „უცხოეთის სახელმწიფოთა დახმარების კანონში“, რომელსაც ჯონსონმა დღეს მოაწერა ხელი.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲙᲠᲔᲡᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

რას ქადაგებდა „ფითელი ერჰარდი“

„ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲔᲠ ᲪᲐᲘᲢᲣᲜᲒᲘ“

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲔᲠ ᲪᲐᲘᲢᲣᲜᲒᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲒᲔᲠᲰᲐᲠᲓ ᲨᲣᲚᲪᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲘᲪ ᲛᲘᲩᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲩᲔᲩᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲝᲛᲐ ᲨᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲐᲜᲢᲘᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ. ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲕᲒᲠᲔᲕᲔᲗ ᲐᲛ ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲯᲐᲚᲔᲑᲣᲚ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲐᲡ.

ᲒᲔᲠᲰᲐᲠᲓ რა მხედველობაში ბატონ ოტა შიკის (წარსულში ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის, შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ხოლო ამჟამად გადამდგარი ვიცე-პრემიერის) პრაქტიკული და თეორეტიკული მოღვაწეობა, დასავლეთგერმანელი მეწყვეტების ორგანომ ჟურნალმა „ვირტშაფტდინსტმა“ მას „ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოსავლეთევროპელი ეკონომისტი“ უწოდა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსური კაპიტალის სხვა ორგანომ „ფოლკსვირტმა“ მას ზედმეტ სახელად „ჩეხოსლოვაკიის ფითელი ერჰარდი“ შეარქვა.

ამრიგად, იგი შეადარეს დასავლეთ გერმანიის იმპერიალისტური ფრთების იმ წარმომადგენელს, რომელიც 1945 წლის შემდეგ შეპყრობილი იყო მონოპოლისტურ კაპიტალიზმამდელი არქეიზიდან ამოღებული „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ იდეით, და რომელიც ქადაგებდა „კეთილდღეობის ყველასათვის“. მართლაც, შიკის „საბაზრო სოციალიზმსა“ და ერჰარდის „სოციალურ საბაზრო მეურნეობას“ შორის ბევრი რამ არის საერთო.

შიკმა დიდი ენერგია მოახმარა იმას, რომ როგორც „ზიუდდოიჩეკაიტუნგი“ წერდა, „ბოლო მოეღო მოძველებული მარქსისტული ეკონომიური წარმოდგენებისათვის“. ჩეხოსლოვაკიაში თანამედროვე იდეოლოგიური დაბნეულობის აღმოცენების ერთ-ერთი არსებითი მიზეზია შიკის მრავალრიცხოვანი პუბლიკაცია, სადაც ყოველნაირად დახატულია სიძნელეები და ნაკლოვანებები საბალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ 1958 წლისათვის წარმოების მოცულობა ჩეხოსლოვაკიაში 1937 წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა და მნიშვნელოვნად ამაღლდა მშრომელთა ცხოვრების დონე, შიკი საერთოდ უარყოფითად ახასიათებდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ყველა სიძნელე, მათ შორის ზრდის ობიექტური სიძნელეებიც, წარმოდგენილი იყო როგორც „მართვის უვარგისი, მავნე, ადმინისტრაციული სისტემის“ შედეგი.

ზერელე კრიტიკისა და ყოველივე მიღწეულის უარყოფის გამო შიკი განსაკუთრებით პოპულარული გახდა იმპერიალისტურ პრესაში და მის გამოთქმულ აზრებს ფართოდ იყენებენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ მონაპოვრებზე ცილისწამებისათვის.

მაგრამ მოდით განვიხილოთ ბატონ შიკის „საბაზრო-სამეურნეო სოციალიზმი“, მისი თანდათანობითი რეალიზაციის პროგრამა, რაც, სხვათა შორის, სავსებით შეესაბამება იმპერიალიზმის გლობალურ სტრატეგიას.

ჯერ ერთი, აუცილებელია რაც შეიძლება მალე აღმოვფხვრათ პარტიის გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე. „ბოროტების საფუძველი, — წერდა შიკი ვენის ჟურნალ „ვეგ უნდ ცილში“, — უნდა ვეძებოთ პოლიტიკურ სფეროში, საერთოდ პარტიის მუშაობის მეთოდში“.

მაგრამ ხომ ცნობილია, რომ მუშათა კლასისა და მისი პარტიის ხელმძღვანელი როლი იყო, არის და იქნება მშრომელი ხალხის ძალიერებისა და ძალაუფლების საფუძველი.

მეორე. შიკი მომხრეა გაუქმდეს სოციალისტური სახელმწიფოს სახალხო-სამეურნეო ფუნქციები და უწინარეს ყოვლისა ცენტრალიზებული სახელმწიფო დაგეგმვა და მართვა. იგი მოითხოვს სახელმწიფოს ეკონომიური როლი შემოიფარგლოს რამდენიმე საკითხით, რომლებიც კრედიტისა და ხელფასის სფეროს ეხება. „ჩვენ უარი უნდა ვთქვათ დღემდე არსებულ წარმოდგენებზე დირექტიული დაგეგმვის შესახებ“, — მოუწოდებს შიკი დასავლეთგერმანულ ჟურნალ „ვირტშაფტდინსტში“. „რაც შეიძლება ნაკლები დაგეგმვა და რაც შეიძლება მეტი თავისუფლება“, — წამოაყენა ეკონომიკოსმა.

მეოთხე. თავს ესხმის რა ცენტრალიზებულ დაგეგმვას, შიკი მოითხოვს ცალკეული საწარმოების განთავისუფლებას „სახელმწიფო მეურნეობისაგან“, მათთვის ამის საშუალების მიცემას, რომ უშუალო კავშირი დაამყარონ კაპიტალისტურ კონცერნებთან. მაისში პრაღაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე შიკმა ხაზი გაუსვა, რომ ავსტრიის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის, ბელგიისა და საფრანგეთის სამრეწველო წრეებმა უკვე გამოთქვეს ჩეხოსლოვაკიის საწარმოებთან „უშუალო თანამშრომლობის“ დამყარების სურვილი.

აყენებს რა „არარენტაბელური ქარხნებისა და ფაბრიკების შეუბრალებელი გაუქმების“ წინადადებას, შიკი მომხრეა საწარმოებს შორის საკონკურენციო ბრძოლისა, მას დასაშვებად მიაჩნია გარკვეული უმუშევრობაც. „ყველაფერი ეს, დაასკვნის დასავლეთგერმანული გაზეთი „ხრისტ უნდ ველტი“, შესაფერის საფუძველს ქმნის ჩეხოსლოვაკიის საწარმოების „ნორმალურ საკეციო საზოგადოებად“ გადაქცევისათვის.

მეოთხე. ჩეხოსლოვაკია თანდათანობით უნდა ჩამოშორდეს ეკონომიური ურთიერთდახმარებ ი ს საბჭოს. მისი საგარეო ვაჭრობის მოცულობა სოციალისტურ ქვეყნებთან, რომლებიც ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში შედიან, მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს და, პირიქით, მკვეთრად უნდა გაფართოვდეს დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან.

როგორც იუგოსლავიის გამოცდილება გვიჩვენებს, იქ არსებული საწარმოს ავტონომიის პირობებში მხოლოდ ზოგიერთ საწარმოს ძალუძს გაუძლოს დასავლეთის მონოპოლიების კონკურენციას და გაიწიოს კაპიტალისტურ ბაზარზე. ამავე დროს ღია აღმოჩნდა რაბები დასავლური საქონლისათვის, რომლის იმპორტი გაცილებით სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე იუგოსლავიის ექსპორტი, რომელიც „საერთო ბაზრისა“ და „თავისუფალი ვაჭრობის ზონების“ წინააღმდეგობას წააწყდა. ამის შედეგად დაიწყო მოხმარების საქონლეზე ფასების ზრდა.

მეხუთე. შიკს იმედი ჰქონდა, რომ თავის კონცეპციას პრაქტიკულად განახორციელებდა დასავლეთის ქვეყნების კრედიტის საშუალებით. იმპერიალისტური სახელმწიფოები ჩეხოსლოვაკიისათვის კრედიტების მიცემას უკავშირებენ მის მზაყოფნას შემდგომი ლიბერალიზაციისათვის. იმას, თუ „რამდენად სერიოზულად არის ჩაფიქრებული რეფორმა“.

შიკმა თავისი ანტისოციალისტური კონცეპცია შენიშნა ეგრეთწოდებული „საბაზრო სოციალიზმის“ თეორიით“. მაგრამ ჯერ კიდევ ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ ვ. ი. ლენინმა შრომაში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ გვიჩვენა, რომ თავისუფალ კონკურენციას წარმოების კონცენტრაციამდე მივყავართ, ხოლო ამ ფაზანასყნელს გარკვეულ საფეხურზე — მონოპოლიამდე. მით უფრო, რომ შიკისათვის ეკონომიკის განვითარების განსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენს საბაზრო სიწყისი და არა საგეგმო.

შიკმა ყველა საშუალებას მიმართა, რათა თავისი „თეორია“ პრაქტიკაში გამოეყენებინა. ჟურნალი „შპიგელი“ მიმდინარე წლის 34-ე ნომერში იტყობინებოდა: „ჩეხოსლო

თბილისსა და თბილისელებზე

დოკუმენტური და მხატვრული ფოტოსურათების გამოფენა

საქართველოს დედაქალაქის მთელი მშვენიერება, მისი უბადლო და თავისებური კოლორიტი, უჭკნობი სილამაზე, რაც ასე ხიბლავს ყველას, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა თბილისში, შესანიშნავად აისახა რესპუბლიკის ფოტოოსტატთა ნამუშევრებში. ფოტოდოკუმენტალისტებმა სიყვარულით აღბეჭდეს ფირებზე ძველი და ახალი თბილისის ხედები, მისი ძველი ვიწრო ქუჩები, ხუროთმოძღვრების ძეგლები და მე-20 საუკუნის მიღწევები — მაღლივი შენობები, ახალი საცხოვრებელი უბნები. ყოველი ქალაქის ნამდვილი მშვენება მის, მცხოვრებლები არიან, და, ფოტოოსტატთა მახვილმა თვალმა აღბეჭდა ისინი — ჩვენი ქალაქის მშრომელები: მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, სპორტსმენები, და ბოლოს, რიგითი თბილისელები, მათი სიხარული, საზრუნავი.

10 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის, შემოქმედებითი კავშირების მრავალი წარმომადგენელი, რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრები, ფოტოჟურნალისტები, რესპუბლიკის გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციათა მუშაკები, რათა დასწრებოდნენ დოკუმენტური და მხატვრული ფოტოგრაფიის გამოფენის გახსნას „თბილისი და თბილისელები". 70 ავტორის 500-ზე მეტი ნამუშევარი ფოტოხელოვნების ენით მკვირმეტყველურად გვიამბობს თბილისსა და თბილისელებზე.

გამოფენაში მონაწილეობენ აგრეთვე მოსკოვის, ბაქოს, ნოვოსიბირსკისა და კრასნოიარსკის ფოტოოსტატები. გამოფენა მოაწყეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირმა.

გამოფენა შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ბუხრაშვილმა.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის სახელით გამოფენის მონაწილეებსა და შეკრებილთა მისალმა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრი, ჟურნალ „სოვეტსკოე ფოტოს" მთავარი რედაქტორი, რუსეთის სფსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი შ. ბუგაევა.

პირველ დღეს გამოფენა დაათვალიერა ასობით თბილისელმა. გამოფენა ერთ თვეს გასტანს. (საქდესი).

სურათებზეა გამოფენის ექსპონატები

ს. ბანტურია. (ფოტომოყვარული). „ცოდნის მწვერვალებისაკენ". (ზემოთ).

მ. თათარიშვილი. (ფოტომოყვარული). „კითხვით გაერთო" (შუაში).

ბ. დადვაძე. „ანცი" (ზემოთ მარჯვნივ).

ბ. სააკოვი. „არის!" (სურათი დაჯილდოებულია ოქროს მედლით საკავშირო ფოტოგამოფენაზე).

თბილისი და თბილისელები

ჩვენი ინტერვიუ

ფეტრესეულოვანის თვალით დანახული

ბვესაუბრება სსრკ ჟურნალისტთა კავშირის ფოტოსექციის თავმჯდომარე, ჟურნალ „სოვეტსკოე ფოტოს" მთავარი რედაქტორი მარინა ბუგაევა

— გამოგიტყდებით, ჩემთვის ფრიად სასიამოვნოა ამ მშვენიერი გამოფენის შესახებ გაგესაუბრო გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებს და, ძამასადამე, საქართველოს საზოგადოებრიობას.

საქართველოს ფოტოხელოვნების ოსტატთა შემოქმედებას დიდი ხანია თვალყურს ვადევნებ. ჩვენი ჟურნალიც, „სოვეტსკოე ფოტო" ცდილობს თავის ფურცლებზე ჯეროვანი ადგილი დაუთმოს საქართველოს ფოტოხელოვნებას. ალბათ გახსოვთ, ამ ორი წლის წინათ თითქმის მთელი ნომერი მივუძღვენით მათს შემოქმედებას.

ახლანდელი გამოფენა „თბილისი და თბილისელები" მოწმობს, თუ როგორ გაძლიერდა და გაიზარდა საქართველოს ფოტოხელოვნება. რესპუბლიკის ბევრი ფოტოოსტატის ნამუშევარმა მოიპოვა შემაღლესი ჯილდოები როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო გამოფენა-კონკურსებზე.

„თბილისი და თბილისელები" უპირველესად ყურადღებას იპყრობს ავტორთა და ნამუშევართა სიმრავლით (70-მდე ავტორის 500-ზე მეტი ნამუშევარი), თემატური და შინაარსობრივი მრავალფეროვნებით, მაღალი პროფესიონალიზმით, ეანრობრივი სიმდიდრით.

დედაქალაქი, მისი ცხოვრება და ადამიანები გადმოცემულია მხატვრულ სახეებში. აქ მშვენივრად გრძნობთ თანამედროვე თბილისის ცხოვრების მაჯისცემას, ხედავთ თუ დღითიდღე როგორ იზრდება და მშვენიერდება ქალაქი, რითი ცხოვრობენ მისი ადამიანები, როგორია მათი ფიქრები, ოცნებები, მისწრაფებანი. ამასთანავე ძალიან კარგია, რომ აქ წარმოდგენილია ე. წ. „საარქივო მასალები", ისტორიული ფოტოსურათები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს თვალი გადავავლოთ ძველი თბილისის ყოფაცხოვრებას, შევადარნოთ მისი განუმეორებელი კოლორიტი, ერთმანეთს შევადაროთ ძველი და ახალი.

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე. ფოტო ს. ბილაძისა.

ნამუშევრებში იგრძნობა ტაქტი და ზომიერება, ფაქიზი ოსტატობა. მსუბუქი იუმორი, სიყვარული ასახული გარემოსადმი თუ ადამიანებისადმი ეესპონტიკიას სასიამოვნო სახეხავს ხდის.

შესანიშნავია დიდი სიმბოლური ფოტოპანორამა — ცის ფონი, მტრედები და ლენინის პორტრეტი, რომელიც გამოხატავს საყოველთაო მისწრაფებას სიკეთისა და მშვიდობისადმი და სიმბოლურად მიუთითებს, რომ გამოფენა ეძღვნება ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

გამოფენა თავისებური კონკურსია. საუკეთესო ნამუშევრებს მიენიჭებათ ოქროსა და ვერცხლის მედლები, აგრეთვე სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის, ჟურნალ „სოვეტსკოე ფოტოს" და ცენტრალური ჟურნალ-გაზეთების სპეციალური პრიზები.

ექსპონატების შეფასებაში ციურულთან ერთად მონაწილეობენ დამთვალიერებლებიც, ასე ვთქვათ „ფარული კენჭისყრით". ყოველ ბილეთს, რომელსაც გამოფენის დამთვალიერებელი შეიძენს, აქვს სამი ტალონი — 1, 2, 3. მნახველი ამ ტალონებზე დაწერს იმ ექსპონატების ნომრებს, რომლებიც მას მიაჩნია პირველი, მეორე და მესამე ადგილის პრეტენდენტებად, და ჩაუშვებს სპეციალურ ყუთში. ყუთს გახსნის და ხმების დათვლის ციური.

გამოფენას მალე ბევრი უცხოელი სტუმარი ეწვევა. **ამ დღეებში აქ მოეწყობა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის ფოტოსექციის სპეციალური სხდომა,** რომლის დღის წესრიგის მთავარი საკითხია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფოტოგამოფენის მომზადება მოსკოვში. ცხადია, განხილული იქნება ფოტოხელოვნების სხვა მიმდინარე საკითხებიც.

დასასრულ მინდა მადლობა ვუთხრა გამოფენის ორგანიზატორებს, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირს, მის ფოტოსექციას (თავმჯდომარე ო. თურქია), რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს შ. ბუხრაშვილს ასეთი მშვენიერი ექსპოზიციის მოწყობისათვის. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ განზრახული გვაქვს თბილისის შემდეგ ეს გამოფენა ვაჩვენოთ მოსკოვში, ლენინგრადში, საბჭოთა კავშირის სხვა დიდ ქალაქებში და მომძე სოციალისტურ ქვეყნებში.

* * *

სპორტი

დამარცხება ალმა-ატაში

გუშინ ყოფილის „ტორპედოს" მეტად პრინციპული გასვლითი მატჩი ჰქონდა ალმა-ატის „აპირატთან". ამ გუნდების სატურნირო მდგომარეობა საკმაოდ არასანარბიელია და ყოველი დაკარგული ქულა რეალური საფრთხის წინაშე აყენებს მათ. ხშირად ამ ფაქტორმა განაპირობა ასპარეზობის სიმწვავე. თამაში ყოველგვარი ურთიერთდაზღვევის გარეშე დაიწყო. მე-5 წუთზე ალმა-ატელმა თავდამსხმელებმა ისარგებლეს ტორპედოელ მცველთა შეცდომით და პირველი გოლი გაიტანეს ქუთაისელთა კარში. თამაშის მეორე ნახევარში მასპინძლებმა ანგარიში ორამდე გაზარდეს. ამან ქუთაისელები თითქოს გამოაცოცხლა, ალმა-ატელთა კართან ზედიზედ იქმნებოდა საგოლე მომენტები, მაგრამ უშედეგოდ. გაიმარჯვა „აპირატმა" — 2:0.

უკანასკნელი ტურის წინ

თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელთა გუნდი აქამდე მეოთხე ადგილის შანსებს მაინც ინარჩუნებდა, მაგრამ ეს შანსიც უკვე ბეწვზე ჰკიდია, რადგან გუნდმა გუშინ ანგარიშით 21:32 წააგო შეხვედრა კიევის სკა-სთან. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელებმა ანგარიშით 29:28 სძლიეს კაუნასის „ელგარისს", რიგას დაუგავამ მოუგო კრასნოდარის „ბურევესტნიკს" 25:19, ზაპოროჟიეს „ალუმინსტროიმ" — მოსკოვის „კუნცევოს" — 27:25.

დღეს გაიმართება უკანასკნელი ტური და მოხდება ჩემპიონატის საზეიმო დახურვა.

მეტჩეგი და შედეგები

გუშინ გაიმართა „ა" კლასის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის შემდეგი მატჩები:

მინსკის „დინამო" — მოსკოვის „ტორპედო" — 0:3.

დონეცკის „შახტიორი" — ბაქოს" ნეფტჩი" — 0:1.

ტაშკენტის „პახტაკორი" — როსტოვის სკა — 2:1.

ლუგანსკის „ზარია" — ჯროზინაძის „დინამო" — 1:0.

მე-6 ტური

აშხაბადში გაიმართა ქალთა საჭადრაკო ტურნირის მე-6 ტური. **სანაძემ** მოუგო მსოფლიოს ექსჩემპიონს **რუდენკოს. ალექსანდრია - ჩაიკოვსკაიას** პარტია გადაიდო თეთრების უპირატესობით.

ოლიმპიადა სჯარჯს იღებს

შეიძლება, ეს შედარება, ისე როგორც ყველა შედარება, სავსებით ზუსტი არ იყოს, მაგრამ ჩვენ მე-19 ოლიმპიადა წარმოგვიდგენია მორბენლად, რომელმაც გაიგონა ძახილი „ყურადღება!" და მზად არის ადგილს მოწყდეს.

მსოფლიოს ყოველი კუთხიდან ჩამოსული სპორტსმენები აქ ყველაზე პოპულარული ადამიანები არიან (ეს ჩანს თუნდაც მეკსიკის გაზეთებით). როცა ოლიმპიელთა ავტომუსები ქალაქში გამოჩნდება, ყველა ასაკის გამვლელი მათ უცინის, ალერსიანად უქნევს ხელს (ასეთივე სიხარულით შეხვდნენ ჩვენს ჟურნალისტთა ავტობუსს, როცა საბჭოთა ცენტრალური გაზეთების კორესპონდენტებთან ერთად აეროდრომიდან ოლიმპიადის პრეს-ცენტრში მივემგზავრებოდით). ოლიმპიური სოფლის გარშემო მუდამ ბევრი ხალხია, საღამოობით კი, განსაკუთრებით შაბათსა და კვირას, მის ტბემკარს, ზოგჯერ ღობესაც ვერ მიეკარებით...

ხუთი გადაჭდობილი რგოლი — ყველა ოლიმპიადის სიმბოლო — მოჩანს ყველგან მეხიკოში: გზების გაყოლებით პლაკატებსა და ტრანსპარანტებზე, სახლის კედლებსა და ავტომობილების ნომრებზე, კოსტუმებზე... ოლიმპიადის მასპინძლები წარმატებითს სტარტსა და ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ სპორტსმენთა ამ მსოფლიო ფორუმს. თავიანთი განზრახვები შეეცალეს მეექსიკის დედაქალაქის სტუდენტებმა, რომელთა გამოსვლები ჩაფუშვეთ ემუქრებოდა ოლიმპიურ ასპარეზობას. სტუდენტებმა გადაწყვიტეს ოლიმპიადის დღეებში უარი თქვან დემონსტრაციებსა და სხვა ამგვარ მოქმედებებზე, რაც ოფიციალურად აცნობეს ოლიმპიური ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტს.

ცხოვრება ოლიმპიურ სოფელში მარტივ და გონიერ ეეშმარიტებას ექვემდებარება: „ადრე ამდგარი შორს წავალ."

სანამ მზე მთებიდან ამოვიდოდეს და სოფლის მთავარ შესასვლელთან ჩამოკიდებულ ხუთ დიდ სხვადასხვაფერის ალიონს ბურთს ოქროსფერ სხივებს მიაფრქვევდეს, ოლიმპიურ სოფელში ყველა ფეხზეა. დაქრიან ავტომობილები და ავტობუსები, რომლებსაც „სამუშაო ადგილებზე" გადაჰყავთ საწვრთნელად ოლიმპიელები, გაისმის ხმამაღალი სპორტული ბრძანებები, სადღაც ორ ძველ პირამიდას შორის, რომლებიც ახლახან აღმოაჩინეს არქეოლოგებმა გათხრების დროს, კრებას მართავენ „ედიკანები" — სიმპათიური და თავაზიანი ქალიშვილები, რომელთა ზოლებიან კაბებს მთელ სიგრძეზე აწერიათ სიტყვა „მეხიკო": ისინი მუდამ მზად არიან დაეხმარონ ოლიმპიადის სტუმრებს.

ცოტა დრო დარჩა იმ ამაღელვებელ მომენტამდე, როცა 12 ოქტომბერს დღისით (მოსკოვის დროით — საღამოს) ოლიმპიური სტადიონის ტრიბუნაზე უზარმაზარ თასში აინთება მე-19 ოლიმპიადის ცეცხლი. გასხნის პარადი გაიმართება იმ შესანიშნავ ნაგებობაზე, რომელიც ეროვნული კლდეებში ამოკვეთილ გიგანტურ ნავს ჰგავს.

...მაგრამ დაკუბრუნდეთ მომავალი ოლიმპიური ბატალიების გმირებს. აქ უკვე შეიკრიბა 109 ქვეყნის 7.530 წარმომადგენელი. ისინი მოუთმენლად ელიან სტარტს და ამ დღეებში არა მარტო ვარჯიშობენ, არამედ გამოდიან შეჯიბრებებში, რომლებიც უკანასკნელი რვეტიციებია დიდი ოლიმპიური სპექტაკლის წინ.

ასპარეზობა გამართეს, მაგალითად, მოფარიკავეებმა, რაპირითა და დაშნით მოფარიკავეებმა მატჩი გამართეს იტალიელებთან, ხმლით მოფარიკავენი ჯერ კუბელებს შეეჯიდნენ, შემდეგ — ამერიკელებს, ქალიშვილებს კი პაექრობა ჰქონდათ საფრანგეთის ნაკრები გუნდის წარმომადგენლებთან. მათ ყველა შეხვედრა მოიგეს. ნეტავ ასე იქნებოდეს ნამდვილ ოლიმპიურ „ბრძოლებშიც!".

მაგრამ ამჯერად გამარჯვება ძალზე ძნელი იქნება. ჩვენი ქვეყნის ექსჩემპიონმა ლენინგრადელმა ედუარდ ვინოკუროვმა გვითხრა: ალბათ არასდროს არ ყოფილა ოლიმპიადაზე ამდენი ექსტრაკლასის მოფარიკავეი.

ოლიმპიური წყალი მოსინჯეს მოცურავეებმაც სპეციალურად აგებულ ოლიმპიურ, კუბურ აუზში. „ოლიმპიადის წინ ძალების უკანასკნელი მოსინჯვა მუდამ ანგარიშგასაწევია", — გვითხრა სემენ ველიც-ბეინანმა.

...მორბენალი ვლადისლავ სალმინა ვნახეთ ჩვენი სპორტული ექიმის ბრინოულ პოროპეიოს კაბინეტში. სალმინს მარცხენა ფეხის კუნთი ოდნავ გაეჭიმა, მაგრამ ჩვენს ყველაზე სწრაფ სპრინტერს იმედი აქვს, რომ მედიკოთა დახმარებით სავსებით გამოჯანსაღდება ასპარეზობის დაწყებისათვის. ჯერჯერობით კი იგი მკურნალობს და თვალს ადევნებს მთავარი მეტოქეების — ამერიკელი მორბენლების წვრთნას ას მეტრზე.

ყველა თავისებურად ვარჯიშობს. აი, მაგალითად, რა ვნახეთ სოფლის მთავარი შესასვლელის ახლოს. ორ ვრცელ დარბაზში — მოკრივეთა და ოჭიდაველთა „სამფლობელოებში". ვეებერთელა სარკეების წინ „აჩრდილს ებრძოდნენ" ტაყვის ხელთამანის ოსტატები — აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსული მოკრივეები. ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ტოვებენ ეს ფიზიკურად ძალზე ძლიერი სპორტსმენები.

აი რინგზე არიან სამხრეთკორეელები... ისინი ერთმანეთს ბურთს ესვრიან და თითოეული ცდილობს აიცდინოს იგი.

საჭიდაო დარბაზი მთლიანად გაყოფილია სქელი ფარდებით. სხვადასხვა ქვეყნის ათლეტები ამუშავებენ „საიდუმლო" ხერხებს.

უკანასკნელი ოლიმპიადის წინა კვირის ოთხშაბათი დილა უჩვეულოდ დაიწყო ჩვენი გუნდისათვის. სპორტდიახ, დღეს ჩვენი დიადი ქვეყანა, იმ ქალიშვილთა და ჭაბუკთა მილიონობით თანატოლი, რომლებიც დარბაზში სხედან, კარგ ამბებს მოელიან ოლიმპიადიდან, რადგან სწამთ ჩვენი სპორტსმენების. და სპორტსმენებიც ემზადებიან მთელი ძალ-ღონე მოახმარონ ბრძოლას, რათა გაამართლონ დიდი პატივი, იყვნენ სსრ კავშირის წარმომადგენლები ოლიმპიადაზე, რათა გაამართლონ თავიანთი ხალხის ნდობა. ამის შესახებ ილაპარაკეს ტანმოვარჯიშე ნატაშა კუჩინსკაიამ, მოკრივე ალმძსი კისელიოვმა, მოფარიკავე ედუარდ ვინოკუროვმა.

კომკავშირულ ოლიმპიელთა ზეიმზე მოვიდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები. მათი სახელით ახალგაზრდათა დემიტროვული კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კრუშ მასილჩევმა თქვა: „გულითადად მოგესალმებით თქვენ. ჩვენ მუდამ თქვენთან ვიქნებით, ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო!

სპორტსმენებს გულითადად მიესალმნენ და წარმატებანი უსურვეს ოლიმპიადის საპატიო სტუმარმა კოსმონავტმა მფრინავმა გერმანე ტიტოვმა, ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა სერგი პავლოვმა. შეკრებილნი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ წერილს, რომელიც ჩვენმა ოლიმპიელებმა გაუგზავნეს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა ახალგაზრდობასა და სპორტსმენებს. წერილი წაიკითხა იბრო ტერ-ოსანესიანმა. წერილი მთავრდება ამაღელვებელი სიტყვებით: „შენს იუბილეს, კომკავშირო, ვუძღვნით საუკეთესო მიღწევებს შეკრების ოლიმპიადაზე. შენს იუბილეს, კომკავშირო, ვუძღვნით ჩვენს მომავალ ოლიმპიურ ჯილდოებს".

ბ. ბუხოვცევი, ა. ერმაკოვი, ა. სტაროდუბი, ი. ხროპოვი,

საკადესის სპეც. კორ.

მეხიკო.

* * *

სურათზე: წინასაოლიმპიადო საწვრთნელი გარბენი.

მეხიკოს ტალღაზე

△ **პირველად** ისტორიაში, მეექსიკის ოლიმპიური ასპარეზობიდან, ოლიმპიურ ფიცს დადებენ არა მარტო სპორტსმენები, არამედ აგრეთვე მსაჯები და ოფიციალური პირები.

△ **ოლიმპიური** ასპარეზობის ყოველი მონაწილე შეიძლება შეამოწმონ ილებს, თუ არა დოპინგს. თუ აღმოაჩენენ, რომ რომელიმე სპორტსმენმა მიიღო ამგზნები საშუალებანი, იგი მაშინვე დისკვალიფიცირებული იქნება, ხოლო გუნდს ჩამოართმევენ ყველა მოგროვილ ქულას იმ სახეობის სპორტში, რომელშიც ეს სპორტსმენი გამოდიოდა და შესაბამის საერთაშორისო ფედერაციაში დასჯამენ საკითხს ასპარეზობიდან ამ გუნდის მოხსნის შესახებ.

△ **შუხბურგის** საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა სპეციალური დიპლომით დაჯილდოვოს ფინაური ოლიმპიური ტურნირის მონაწილე ერთადერთი „ყველაზე სპორტული გუნდი".

△ **ინგლისელმა** იახტსმენმა **როდნი პატისონმა** უკვე გამარჯვება მოიპოვა, სანამ სტარტს მისცემდნენ აკაპულკოს ყურეში. თუმცა ეს გამარჯვება საკმაოდ თავისებური. მის ნავს ერთობ ძოძელი და გაუგებარი სახელი ჰქვია. იგი დაახლოებით ასე ეღერს: „სუპერკელიფერეჯილსტაიკ-იცხაიელი დ ო-ჩესი". როდესაც მრბოლს ჰკითხეს, თუ რას ნიშნავს ეს, მან უპასუხა: „რაღაც „ჯერგის" მსგავსია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისაგან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ

ილია ვლადიმერის-ძე აბულაძის

გარდაცვალებას.

პროფესორ ი. აბულაძის დამკრძალავი კომისიისაგან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ილია აბულაძის სამოქალაქო პანაშვიდი შედგება 11 და 12 ოქტომბერს 7 საათზე გარდაცვლილების ბინაზე — ქაჯიანეთის პროსპექტი, 24. გამოსვენება 13 ოქტომბერს 4 საათზე კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტიდან — ზ. რუხაძის ქ. 1. დაკრძალვა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ტელევიზია

11 ოქტომბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის. ნახატი ფილმი, 11.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 11.40 — კინონარკვევი „თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი", 12.00— მხატვრული ფილმი „შავებით მოსილი ქალაშვილი", 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „თეატრი სტუდიაში", 2. „ცეროდენას ეკრანი", 19.25 — გადაცემა „კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილი", 20.25 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.30 — სპორტული პროგრამა ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „დინამო" მოსკოვი — „დინამო თბილისი (გადმოცემა მოსკოვიდან). შესვენების დროს გადაცემა „ჩვენი ოლიმპიელები", 22.15 — კინონარკვევი, 22.35 — „მოამბე" საინფორმაციო პროგრამა, 23.00 — პროგრამა მეორე დღისათვის, 23.05 — კინონარკვევი, 23.15 — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.15 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.30 — „საცეკვაო დარბაზი" (გადაცემა ტალინიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) დასაწყისი 11 საათიდან.

თეატრები

11 ოქტომბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხოგაის მინდია. ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიბედისწერო ოპერაცია, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — დარისპანის გასაჭირი, უბედურება (№ 32 აბონ. დღის 5 ს.), **თოჯინების ქართული** — წითელი ეშმაკუნები (10 ს.), წითელკანიანთა ბელადი (1 ს.).

რადიო

12 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — მ. დავითაშვილი. საბალეტო მუსიკა, 06.50 — „სოფლის ფილა", 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.30 — პოპულარული სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 09.30 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.50 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 11.00 — უკანასკნელი ცნობები, 11.15 — პულენკი. „ზანგური რაფსოდია", 11.30 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 11.45 — გ. ცაბაძე, სიმფონიადო სიმღერები, 12.00 — საუბარი „დისკუსია ღმერთის შესახებ", 12.15 — ჯ. პუჩინი. ნაწყვეტები ოპერიდან „ტოსკა", 13.10 — ბ. ჩაიკოვსკი. მესამე სიმფონია (მოსკოვი), 14.00 — რადიოჟურნალი „ადამიანი და კანონი" (მოსკოვი), 14.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 14.45 — ლიატოშინსკი სიუიტა უკრაინულ ხალხურ თემებზე, 15.00 — „ქვეყნებში და კონტინენტებზე" (მოსკოვი), 15.15 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 15.40 — ტიციან ტაბიძე. ლექსები, 16.00 — ცეკვიდან „მოგონებები, სტატიები, წერილები". კონცერტი-საუბარი „ხემოროვიან-დანჩენკო და მუსიკალური თეატრი", 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის. „ქართული კომკავშირული სიმღერები", 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — ო. თაქთაქიშვილი. ნაწყვეტები ოპერიდან „სამი ნოველა", 19.00 — ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისათვის. კომპოზიცია „თობათა შეხვედრა", 19.30 — შოპენი მაზურკები და ვალსები, 20.30 — რადიოჟურნალი „შოლტი", 21.05 — საუბარი „ბატარეის გულის მესაიღუმლე პოეტი", 21.30 — ნ. პაგანინი. საგიოლინო კონცერტი, 22.00 — ი. ტურგენევი. ნაწყვეტი რომანიდან მამები და შვილები", 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — მუსიკალური ფანტაზიები ოპერეტებიდან, 23.55— უკანასკნელი ცნობები.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რედაქტორი

დ. მჟელიშვილი.

კომუნისტი | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ფა 04263 საქ. კპ, ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.